



ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევა საქართველოში

მომზადებულია 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით





შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

გვერდი 11 - ძირითადი მოთამაშეები

გვერდი 12 - ფინანსური კოეფიციენტები



კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმოხილვას, არსებული ტენდენციების გამოვლენას, მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის დაწესებულებების 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.



მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშგების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ეკუთვნის მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის კომპანიებს, რომელთაგანაც ექვსი ანგარიშგება არის აუდირებული.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2018 წლის მონაცემებს, კვლევაში განხილული იქნება უნივერსიტეტები, სასწავლო უნივერსიტეტები და კოლეჯები, რომელთა რაოდენობაც ჯამურად შეადგენს 20-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი მათ სასწავლო პროგრამებზე, სტუდენტთა რაოდენობაზე და ფინანსურ მაჩვენებლებზე, მონაცემები აღებულია საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან.





კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომელთა ჯამური ბრუნვა აღემატება 118 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 192 მილიონ ლარს, ხოლო ჯამური მოგება დაბეგვრამდე აღწევს 25 მილიონ ლარს.

კვლევამ გამოავლინა ინდუსტრიის ლიდერი ავტორიზებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები შემოსავლების, აქტივებისა და მოგების მიხედვით.

მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააჩნიათ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) 12%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 24%.

გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის, და გადახდის უნარიანობის შესახებ.






კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა 2018 წლის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საშუალო მონაცემები. მოცემული 20 სასწავლებელიდან 6 განეკუთვნება მეორე კატეგორიას ხოლო 14 კი მესამეს.


ათასი,ლარი

საშუალო რეალიზაცია





საშუალო მთლიანი აქტივები

ათასი,ლარი



ათასი,ლარი

საშუალო მოგება დაბეგვრამდე






უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა საკმაოდ სტაბილურია სახელმწიფო სექტორში, თუმცა კერძო დაწესებულებების რაოდენობამ 2018-დან 2020-მდე მოიკლო 12 ერთეულით (20%), რაც მიუთითებს მაღალ კონკურენციაზე დარგში. იმ ფონზე როდესაც სტუდენტთა საერთო რაოდენობა შედარებით მატულობს წლიდან წლამდე. ასევე გაიზარდა გაცვლითი პროგრამების რაოდენობა. ეტაპობრივად, ჩვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ნერგავენ შესაბამის სტანდარტებს და აღწევენ დონეს, რომელიც მსოფლიო მასშტაბით შეძლებს კონკურენციის განწევას. ქვეყანას აქვს პოტენციური მომავალ თაობას მისცეს ისეთი

განათლება, რომელიც შეესაბამება როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში არსებულ მოთხოვნებს, რაც წარმატების საწინდარი გახდება. ანგარიშგების პორტალის ვებ-გვერდის მონაცემების თანახმად 2018 წელს, ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობამ შეადგინა 20. ქვემოთ მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში სტუდენტთა რაოდენობა სწავლების სახეების მიხედვით (სასწავლო წლის დასაწყისისათვის) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქსტატის ოფიციალური მონაცემების თანახმად.


ერთეული სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სულ



წყარო: geostat.ge ● სახელმწიფო ● კერძო

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აღემატება სახელმწიფო დაწესებულებებს. რაც შეეხება სტუდენტთა რაოდენობის გადანაწილებას შემდეგია:

ერთეული სტუდენტთა რაოდენობა სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სულ




წყარო: geostat.ge ● სახელმწიფო ● კერძო

გემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბევრად მეტი სტუდენტი სწავლობს, რისი განმსაზღვრელიც შეიძლება იყოს სწავლის საფასურის ღირებულება.




უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში სტუდენტთა რიცხოვნობა სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით (სასწავლო წლის დასაწყისისთვის) შემდეგია:



წყარო: geostat.ge



წყარო: geostat.ge




უმალლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, სახელმიფო უნივერსიტეტებში პროფესიულ პროგრამებზე უფრო მაღალი მოთხოვნა იყო გასულ წლებში, სტუდენტთან ძირითადი ნაწილი კი ირჩევდა საინჟინრო, დამამუშავებელ და სამშენებლო დარგებს, ასევე აქტუალური იყო სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი.

კაცი

სტუდენტთა რიცხოვნობა პროფესიულ პროგრამაზე



წყარო: geostat.ge

როგორც გრაფებიდან ჩანს, ყველაზე მეტი სტუდენტი ირიცხება ბაკალავრიატის პროგრამაზე და მათგან უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტს.

შეიძლება ითქვას, რომ მაგისტრატურის პროგრამაზე სწავლას აგრძელებს დაახლოებით სტუდენტთა რაოდენობის ნახევარი, მათგან უმრავლესობა კი ირჩევს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ფაკულტეტს.

რაც შეეხება პროფესიულ პროგრამებს, სტუდენტების არც თუ ისე დიდი რაოდენობა აკეთებს მათზე არჩევანს.




უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში სტუდენტთა რიცხოვნობა კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით (სასწავლო წლის დასაწყისისთვის) შემდეგია:

კაცი


სტუდენტთა რიცხოვნობა ბაკალავრიატის პროგრამაზე



წყარო: geostat.ge

კაცი

სტუდენტთა რიცხოვნობა მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამაზე, რეზიდენტურა, სულ




წყარო: geostat.ge



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ძალიან მცირეა იმ სტუდენტთა რაოდენობა, ვინც არჩევანს აკეთებს პროფესიულ პროგრამებზე კერძო უნივერსიტეტებში, შემცირება განსაკუთრებით შეინიშნება ბოლო წლებში.

სტუდენტების ძირითადი ნაწილი ირჩევდა მომსახურების პროგრამებს, ხოლო ბოლო წლებში აქტუალური გახდა საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები.



წყარო: geostat.ge

როგორც გრაფებიდან ჩანს, ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება კერძო უნივერსიტეტებში, ყველაზე მეტი სტუდენტი ირიცხება ბაკალავრიატის პროგრამაზე და მათგან უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტს.

შეიძლება ითქვას, რომ მაგისტრატურის პროგრამაზე სწავლას აგრძელებს დაახლოებით სტუდენტთა რაოდენობის ნახევარი, მათგან უმრავლესობა ირჩევს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ფაკულტეტს, ასევე სოციალური მეცნიერების, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტს.

რაც შეეხებათ პროფესიულ პროგრამებს, სტუდენტების არც თუ ისე დიდი რაოდენობა აკეთებს მათზე არჩევანს, ხოლო ძირითადი ნაწილი ირჩევს მომსახურების ფაკულტეტს.




უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2019 წელს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რაოდენობამ შეადგინა 17,199 კაცი, ხოლო კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რაოდენობამ 7,551 კაცი შეადგინა, ამავე წელს. მიუხედავად იმისა, რომ კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა ბევრად აღემატება სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობას, ბევრად მეტი სტუდენტი ირიცხება და ასევე ამთავრებს სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა რაოდენობა, სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:

კაცი



როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში მაქსიმალური კურსდამთავრებული იყო 2017 წელს და შეადგინა 18,738 კაცი, ხოლო კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში დაფიქსირდა 2019 წელს, 7,551 კურსდამთავრებული.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 2019 წელს სტუდენტების მიღებამ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და პროფესიული პროგრამა, ჯამურად შეადგინა 27,869 კაცი. ხოლო, ანალოგიურმა მონაცემმა იმავე წელს, კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეადგინა 15,377 კაცი




უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2018-2019 წელს საზღვარგარეთ გაგზავნილი სტუდენტების რაოდენობამ სახელმწიფო უნივერსიტეტების შემთხვევაში შეადგინა 456 კაცი, ხოლო კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში 217 კაცი. რაც შეეხება უცხოელი სტუდენტების რიცხოვნობას ამავე წელს, სასწავლო წლის დასაწყისისთვის, 4236 და 7998 კაცი შეადგინა, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:

კაცი



წყარო:geostat.ge

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 2019-2020 წელს დაფიქსირდა საზღვარგარეთ გაგზავნილი სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან, 486 კაცი, აქედან ძირითადი ნაწილი იყო გერმანიაში- 146 კაცი, საფრანგეთში- 56კაცი და იტალიაში 46 კაცი. ამავე წელს დაფიქსირდა, უცხოელი სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტში, 8,898 და 4,429 კაცი, ძირითადი ნაწილი ჩამოვიდა ინდოეთიდან, აზერბაიჯანიდან და ერაყიდან.


კერძო უნივერსიტეტებიდან საზღვარგარეთ გაგზავნილი სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2018-2019 წლებში, 217 სტუდენტი, მათგან ძირითადი ნაწილი იყო პოლონეთში- 39კაცი, ჩინეთში 28 კაცი, იტალიასა და ლიტვაში 22-22 კაცი.



ტოპ 5 უმაღლესი სასწავლებელი შემოსავლების მიხედვით (2018წ)


ათასი, ლარი

აღნიშნული სასწავლებლების ჯამური შემოსავალი წარმოადგენს დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლების ჯამური შემოსავლის 70%-ს.




ტოპ 5 უმაღლესი სასწავლებელი მთლიანი აქტივების მიხედვით, (2018წ)

ათასი, ლარი



მოგება დაბეგრამდე, ტოპ 5 უმაღლესი სასწავლებელი (2018წ)

ათასი, ლარი






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2018 წ.)


ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კვლევის შედეგად გამოვლინდა უმაღლესი სასწავლებლების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 5.87 და 5.52, როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.



მომგებიანობის კოეფიციენტები

უმაღლესი სასწავლებლების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: მთლიანი მოგების მარჟის კოეფიციენტი 13%, წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) 12%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 24%-ს, აღსანიშნავია საკმაოდ მაღალი დანახარჯები ინდუსტრიაში რის გამოც, წმინდა მოგების მარჟა შეადგენს მხოლოდ 13% -ს.






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2018წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. უმაღლესი სასწავლებლებისათვის ეს მაჩვენებელი უტოლდება 0,28-ს, ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 0,72 -ს რაც მიუთითებს თუ რამდენად აღმატება ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებს.





რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 40-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია "AGIC" არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 85-ზე მეტ ქვეყანაში.



0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო



(995 322) 500 130



(995 599) 34 33 48



info@agic.ge

